მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ევროპის უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომშ - ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 13 ივნისის №505 ბრძანებით შეიქმნა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს ევროპის უნივერსიტეტის მიმართ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე 2018 წლის 15 და 16 ივნისს ევროპის უნივერსიტეტში ვიზიტის განხორციელება, საჩივარში დასმული საკითხების შესწავლა, მათი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება და დასკვნის წარმოდგენა.

2018 წლის 15 ივნისს ცენტრში გაიმართა შეხვედრა საჩივრის ავტორთან, ნამიგ ბაირამოვთან, რომელიც ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების მურად ალიევისა და ჰეიდარ ნასიბოვის წარმომადგენელია. შეხვედრას, ესწრებოდნენ ცენტრის თანამშრომლები, ნამიგ ბაირამოვის თარჯიმანი/თანაშემწე თამარ მაჭარაშვილი და ექსპერტები. შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო საკითხი:

1 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერების მიზეზად ნამიგ ბაირამოვმა დაასახელა ინდოეთისა და ბანგლადეშის მოქალაქე სტუდენტებისადმი გაზრდილი ინტერესი, კერძოდ, კი ის გარემოება, რომ დაწესებულება დაინტერესებული იყო რაც შეიძლება მეტი ასეთი კატეგორიის სტუდენტი ჩაერიცხა, ვინაიდან სწავლის საფასური შეადგენდა 6 000 აშშ დოლარს. ამასთან, აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებით უნივერსიტეტს უჩნდებოდა ვაკანტური ადგილები, რომლებზეც რიცხავდა ინდოეთის მოქალაქე სტუდენტებს.

2. საჩივრის ავტორმა ყურადღება გაამახვილა აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების ქართული ენის ცოდნაზეც. მისი საუბრიდან გაირკვა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტთა სტატუსის შეჩერების ძირითად მიზეზად ასახელებდა იმ გარემოებას, რომ სტუდნტების უმრავლესობამ არ იცოდა სათანადო დონეზე ქართული ენა და მათთვის სიძნელეს წარმოადგენდა პროგრამით გათვალისიწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლა. ამასთან, ნამიგ ბაირამოვმა აღნიშნა, რომ ეს არგუმენტი მისთვის გაუგებარი იყო, ვინაიდან წინა წლებში მსგავსი საკითხი არ წამოჭრილა. მისივე განმარტებით დაწესებულებას არ ჰქონდა არანაირი მიღების წინაპირობა და მაშინაც რიცხავდნენ სტუდენტებს ქართულენოვან პროგრამაზე, თუ მათ ქართული ენა არ იცოდნენ.

3. ნაბიგ ბაირამოვის განმარტებით სტუდენტმა, მურად ალიევმა დაწერა უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის აღდგენაზე განცხადება, მას თან ახლდა მშობელიც, მაგრამ ეს განცხადება არ დაკმაყოფილდა უნივერსიტეტის მიერ. განცხადება დაწერილი იქნა 2018 წლის მარტის ან აპრილის თვეში, მას შემდეგ რაც სტუდენტმა შეიტყო, რომ სტატუსი შეუჩერდა.

4. საჩივრის ავტორმა მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ ევროპის უნივერსიტეტმა არაუფლებამოსილი პირის (სევინჯ რაჯაბოვა) განცხადების საფუძველზე შეუჩერა აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს სტატუსი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გადამოწმების მიზნით ექსპერტებმა განახორციელოს დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიუირება და გამოითხოვეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაწესებულებისგან გამოითხოვა სტუდენტების, მურად ალიევისა და ჰეიდარ ნასიბოვის პირადი საქმეები. როგორც წარმოდგენილი პირადი საქმეებიდან იკვეთება მურად ალიევს სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 2018 წლის 9 მარტს აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო. უნივერსიტეტის ფინანსურ მენეჯერთან ინფორმაციის გადამოწმების შედეგად (დასტურდება ფინანსური მენეჯერის განმარტებითი ბარათით) მურად ალიევს 2018 წლის 9 მარტის მდგომარეობით ჰქონდა ფინანსური დავალიანება. თუმცა, ბრძანებაში ამის თაობაზე არ ყოფილა მითითება. რაც შეეხება, ჰეიდარ ნასიბოვს მას სტატუსის შეუჩერდა საკუთარი განცხადების საფუძველზე. დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა ჰეიდარ ნასიბოვის 2016 წლის 28 ივლისის განცხადება. წარმოდგენილი განცხადება დათარიღებული იყო 28 აგვისტოთი და კალმით არის გადასწორებული. სტატუსის შეჩერება განხორციელდა რექტორის 2016 წლის 28 ივლისის ბრძანებით. ექსპერტთა მიერ, ასევე გადამოწმდა შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი, სადაც 28 ივლისის თარიღით ფიქსირდებოდა შემოსული განცხადება. 2016 წლის სარეგისტრაციო ჟურნალის გადამოწმების დროს გამოიკვეთა, რომ რეგისტრაციის ნომერი 1946 ცარიელი იყო და ნუმერაცია გრძელდებოდა. ამასთან, ჟურნალი არ იყო დანომრილი და ზონარგაყრილი, რაც მის ურღვევობას და სანდოობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ვიზიტის დასრულებამდე საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა განმარტება გააკეთა, რომ საქმის დიდი მოცულობიდან გამომდინარე მას გამორჩა განცხადების დარეგისტრირება და წარმოადგინა რეგისტრირებული განცხადება, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა სარეგისტრაციო ნომერი 1946.

2. 2018 წლიდან დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. ამდენად, ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვეს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში (Eflow) მარტისა და აპრილის თვეში მურად ალიევის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების გადამოწმება. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტის თანდასწრებით შეამოწმა აღნიშნული ინფორმაცია. ელექტრონულ სისტემაში ვერ იქნა მოძიებული შესაბამისი განცხადება. რაც შეეხება სევინჯ რაჯაბოვას განცხადებას სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ დაწესებულებამ წარმოადგინა მისი განცხადება, რომელსაც თან ერთვის მინდობილობა და იგი ითხოვს ალიევ მურადის სტატუსის შეწყვეტას. ინფორმაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებაში ორი მურად ალიევი სწავლობდა.

3. ექსპერტებმა გადაამოწმეს მურად ალიევისა და ჰეიდარ ნასიბოვის უნივერსიტეტში ჩარიცხვის კანონიერების საკითხი და გამოითხოვეს მათი ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მურად ალიევი ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში ჩაირიცხა რექტორის 2016 წლის 26 სექტემბრის N‹-177 ბრძანებით. მურად ალიევი სსიპ - საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტიდან მობილობის წესით გადმოსული სტუდენტია, იგი სწავლობდა ინფორმატიკის რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე. რაც შეეხება ჰეიდარ ნასიბოვს იგი უნივერსიტეტში ჩაირიცხა 2016 წლის 13 იანვარს. ამასთან, ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა ჰეიდარ ნასიბოვის ქართული ენის დონის განმსაზღვრელი ტესტიც. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 2.3 მუხლის თანახმად ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ევროპის უნივერსიტეტში სწავლებაზე უფლებამოპოვებულ პირთა ენის კომპეტენციის დონის განსაზღვრის წესის შესაბამისად. მის მიერ შესრულებულ ტესტში მითითებულია, რომ იგი ადგენს ქართული ენის ფლობას B2 დონეზე. მინიმალური ბარიერია 12 ქულა. სტუდენტს უფიქსირდება 13 ქულა. მას შესრულებული აქვს ყველა დავალება, წერითი (ესე) კომპონენტის გარდა. ექსპერტებმა ინტერვიუირება განახორციელეს ქალბატონ ირმა შველიძესთან, რომელიც ჩართული იყო ტესტების შედგენის პროცესში და აღნიშნული მიმართულებით ჰქონდა ხანგრძლივი გამოცდილება. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ ენის B2 დონეზე ცოდნის დასადასტურებლად აუცილებელი იყო აპლიკანტის მიერ წერითი კომპონენტის შესრულებაც, რათა მომხდარიყო წერითი უნარების დემონსტრირება. აღნიშნულ კომპონენტს ცოდნის დონის შემოწმების დროს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ექსპერტებმა გამოითხოვეს ჰეიდარ ნასიბოვის, მურად ალიევის და სხვა აზერბაიჯანულეონავანი სტუდენტების მიერ შესრულებული საგამოცდო ნამუშევრები. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ნამუშევრები განადგურებული იყო. ამის დამადასტურებლად წარმოადგინეს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტების შენახვის ვადები, რომლის თანახმადაც საგამოცდო ნამუშევრები ინახება გასაჩივრების ვადის გასვლამდე. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანებით დამტკიცებული ,,დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის" თანახმად წერილობითი საგამოცდო სამუშაოები ინახება 3 წლის განმავლობაში. შენიშვნის გრაფაში მითითებულია, რომ ვადა აითვლება შეფასების გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. ამდენად, დაწესებულების შიდა რეგულაცია ეწინააღმდეგება იუსტიციის მინისტრის ბრძანებას. აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების ენის კომპეტენციის გადამოწმების მიზნით ექსპერტებს სურდათ მათთან გასაუბრება, მაგრამ აღნიშნული შეუძლებელი იყო ვინაიდან დაწესებულების განმარტებით მიმდინარე სემესტრში არცერთი აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი არ იყო ჩართული სასწავლო პროცესში.

4. ექსპერტები დაინტერესდნენ აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების სტატუსის შეჩერების საკითხით და აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერვიუირება ჩაატარეს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანთან და ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერთან (ვინაიდან საჩივარში მოხსენიებული ორივე სტუდენტი ირიცხებოდა აღნიშნულ ფაკულტეტზე). ინტერვიუირებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2018 წლის 9 მარტს აღნიშნულ ფაკულტეტზე 132 სტუდენტს შუჩერდა სტატუსი. ფაკულტეტის მენეჯერმა განმარტა, რომ

იგი დაუკავშირდა სტუდენტების წარმომადგენლებს და მიაწოდა ინფორმაცია სტატუსის შეჩერების შესახებ. მისივე განმარტებით მურად ალიევთან დაკავშირებით იგი ესაუბრა თამარ მაჭარაშვილს. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სტუდენტებმა, რომლებსაც აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შეუჩერდათ სტატუსი და ამავდროულად ჰქონდათ ფინანსური დავალიანება სტატუსის შეჩერების შემდეგ განახორციელეს თანხის გადახდა. დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის, რექტორს და ხარისხის სამსახურის უფროსს არ ჰქონიათ პოზიცია იმის შესახებ თუ რითი იყო გამოწვეული აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების გადინება უნივერსიტეტიდან და მათი მხრიდან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა, მაშინ როდესაც რიგ შემთხვევებში თანხა დაფარული ჰქონდათ. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ქართულენოვანი სტუდენტების გადინების მაჩვენებელი იყო საკმაოდ დაბალი.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ვინაიდან ექსპერტებმა ვერ შეძლეს გასაუბრება აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებთან, რათა გადაემოწმებინათ მათი ენის კომპეტენცია 2018 წლის 2 ივლისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შედგა შეხვედრა ნამიგ ბაირამოვთან, რომლის თანდასწრებითაც განხორციელდა სატელეფონო ჩართვა ერთ-ერთ სტუდენტთან, მურად ალიევთან. მურად ალიევთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სტუდენტი არ ფლობდა ქართულ ენას, შესაბამისად მასთან საუბარი წარიმართა რუსულ ენაზე. მურად ალიევის განმარტებით, ქართული ენის შესაბამის დონეზე არცოდნის გამო გამოცდებს ევროპის უნივერსიტეტში აბარებდა რუსულ ან ინგლისურ ენაზე. უნივერსიტეტში მხოლოდ საგამოცდო პერიოდში ცხადდებოდა და ლექციებს არ ესწრებოდა. აკადემიური რეგისტრაციის გავლასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დამოუკიდებლად არც წინა სასწავლო წლებში არ გაუვლია აკადემიური რეგისტრაცია, მით უფრო მას არასდროს გამოუყენებია სტუდენტის ელექტრონული პორტალი. აკადემიურ რეგისტრაციას ახორციელებდა უნივერსიტეტის წარმომადგენელი. შესაბამისად, მისთვის გაუგებარი იყო არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მას აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შეუჩერდა თურმე სტატუსი.

ზემოაღნიშნული გარემოებების შეჯერების საფუძველზე და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდართებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ გამოვლინდა შემდეგი:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მე-5.1 კომპონენტის მიხედვით ,,სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები გამჭვირვალე და სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.". ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუს გათვალისწინებით დარღვეულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების წესები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოს შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის მქონე პირების ჩარიცხვა. მურად ალიევს, რომელიც მობილობის წესით არის გადმოსული რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამიდან და როგორც მასთან ჩატარებული ინტერვიუირებიდან გამოიკვეთა მას არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა. რაც შეეხება

ჰეიდარ ნასიბოვს ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც როგორც დასკვნაშია აღნიშნული არც მას არ უდასტურდება ქართული ენის შესაბამის დონეზე ცოდნა. შესაბამისად, დარღვეულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების 5.1 კომპონენტით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების წესები.

როგორც დასკვნაშია აღნიშნული ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტების შენახვის ვადები ეწინააღმდეგება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხას". აღნიშნული შეუსაბამობა კი იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების 2.1. კომპონენტით გათვალისწინებული საქმისწარმოების წესის დარღვევას, რაც გულისხმობს მოქმედ კანონმდებლობასთან უსდ-ს საქმისწარმოების წესის შესაბამისობას. ამდენად, არსებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით 2.1. კომპონენტი დარღვეულია საქმისწარმოების ნაწილში.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 30 ივლისს №6097 კორესპონდენციით წარმოდგენილ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ ექსპერტებმა გადაამოწმეს 16 სტატუსშეჩერებული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია, სადაც ანალოგიურად არ გამოიკვეთა სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული პროცედურების შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების შიდა რეგულაციებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, განვმარტავთ, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მხოლოდ რამდენიმე სტუდენტის ფინანსურ დავალიანებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და არა სხვა სახის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია სტუდენტის სტატუსთან. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, რის შედეგადაც უცვლელად ტოვებს დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნინო ტალიაშვილი

ექსპერტთა ჯგუფის წევრი

დემეტრე ეგნატაშვილი